


ხმალი
ინფორმაცია
საპარტველოს
პროვინული
ჩემპიონატი
ფეხბურთში

საპარტველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროვინციური რესპუბლიკური საპროსტორაგო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 მარტი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 59 (10 225) ღამის 3 კაპა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



საქ. სსრ კ. შარაძის სახ. სახ. ინსტიტუტი გამომცემლობა

იდეალურად...

ჩვენ წინაპართა დანატოვრის გარდა დღეს ბევრი არაფერი გაგვაჩნია ისეთი, ეროვნული საბატიო სახელს რომ იმსახურებდეს. ბოლო ათწლეულებში ჩვენი ცხოვრება ისეთი გზით წარიმართა, თუ რამეს ვკმინდით, საკუთარს კი არა, ხაერით „დიდი ჯამს“ ვუშაბდით და ვავსებდით, სხვისი ნაწილი ვიყავით (და ახლაც ვართ).

და როდესაც ამგვარი ტვირთი გაუხადდის გახდა, საკუთარს შენარჩუნებასა და შექმნაზე დავიწყეთ ფიქრი და ბრძოლა. პრაქტიკული ნაბიჯი კი ცოტა საკვირველიც კია, პირველად ფეხბურთში გადავდგით.

რატომ მაინცდამაინც ფეხბურთში?.. იქნებ უფრო იმიტომ, რომ ხაერთო სიყვარულით გარემოსილმა თამაშმა, სხვა სახეობებისგან (და ხაერთოდ, ცხოვრების სხვადასხვა სფეროებისგან) განსხვავებით, იმდენი ძალა და პოტენცია დააგროვა, ისეთი ავტორიტეტი მოიხვეჭა, ახლაც შეუძლია საკუთარ ფეხზე დგომა. მართალია, ამ საქმის მოთავეებს პირველ ყოვლისა მისი ეროვნული მნიშვნელობა აძლევდა სტიმულს, მაგრამ ისინი ქართული ფეხბურთის ღირსებებს, მის პოტენციალს ეურდნობოდნენ.

თუმცა კი პირველად სადღე უნდა გაგვეწყვიტა მძიმე იმპერიული ჯავი, და ეს ფეხბურთში მოხდა — დიდი ბრძოლის, კამათის, წინააღმდეგობებისა და მუქარის მიუხედავად, შეიქმნა საქართველოს ეროვნული ფედერაცია, ახლა კი პირველ ეროვნულ ჩემპიონატს ვეგებებით.

ვეგებებით დიდი იმედით, ოღონდ არ უნდა დაგვაიწყვდეს, დიდი იმედი აქვთ მის მოწინააღმდეგეებსაც, თუმცა ხულ სხვაა ეს მოლოდინი: რაიხუფლებს პირველ ნერგს ჯერ კიდევ ბევრი რამ ემუქრება (მათ შორის ჩვენი ზოგიერთი ბოლოდროინდელი და არც ისე სასიამოვნო ჩვევა, ხაორტმა რომ შეგვიძინა თუ გამოგვაჩენინა), რომელიც არც ისე იშვიათად იჩენს ხოლმე თავს წრეგადასულ ვნებებში თუ უკანონო მოქმედებებში.

ვერც საკავშირო უწყების დაუფარავი მუქარა და ვერც ფიფას კოდექსების ფრაილი ვერაფერს დაგვაკლებს, თუ ბეჭითად და მოთმინებით მოვუვლით ამ ახალ საქმიან ნერგს, წამოვზრდით და დიდი, მოშრაილე მუხად ვაქცევთ, რათა სხვებაც მიეცეთ იმედი და ეს მაგალითი მათთვისაც გახდეს ცხოვრების გზის მაჩვენებელი.

ვფიქრობთ, ამ აზრით უნდა იყოს გამსჭვალული ყველა: ფეხბურთელი, ფულშემატკივარი, მსახი, მწვრთნელი.. ჩვენ, პირველ ყოვლისა, საქართველოს დამოუკიდებელ ფეხბურთს ვქონავთ, თუმც საყვარელი გუნდისთვის მსურველი და ვაჟაცურად მხარის დაჭერა მუდამ ალამაზებს ფეხბურთს.

საქართველოს დამოუკიდებელმა ჩემპიონატმა ერთი ხაერთო ხიმით უნდა დაგვაკავშიროს ყველა და ერთ ხაერთო ჰანგზე — ეროვნულ ჰანგზე აგვახმინოს.

მაშ, იდეალურად საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა!

თუ ერთ ვუხვად უმჯობობით

„გვეყო, ბატონებო, ჩვენი აწმყო-სა და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდებო. ჩვენი გამარჯვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგული გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმჯობესად ვერ მოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“.

დიდი ილიას ეს სიტყვები, მე გგონი, ხაოცრად ესადაგება დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას. დღეს ერთი და ბერი დარაზმულია, რათა მართლაც ჩვენვე ვიყვნეთ ქირისუფალნი ჩვენი გაჭირვებისა, გულისტკივილისა თუ სიხარულისა.

მე ბედნიერ კაცად ვრაცხ თავს, რომ მოვეწარით იმ დღეს, როცა ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის პირველ ნაბიჯს დგამს. ვიცით, ძნელი იქნება „აღთქმული ქვეყნისკენ“ მიმავალი ბილიკი, მაგრამ სიძინელებს ნუ შევუშინდებთ.

ღმერთის შემწეობით თუ ერთ მუშტად შევიკვრებით, დიდი აღმაშენებლის თქმისა არ იყოს, „თვით ეშმაკაც ადვილად დავამარცხებთ“.

მაშ, ფეხბედნიერი იყოს პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი მატჩი.

ნოდარ ახალკაცი.

გზა მშვიდობისა, „იბერი“!

როცა საქმე საქმეზე მიდგა, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კლუბმა ძველი სახელი შეიცვალა და „იბერიაზე“ შეაჩერა არჩევანი. მაგრამ ეს გადაწყვეტილება საბოლოო არ ყოფილა. გუნდმა „ლელოს“ მეშვეობით საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა თავისი სურვილი, რაც უდავოდ მისასალმებელი ნაბიჯი იყო დინამოელთა მხრიდან. გაჩილა დისკუსია. „ლელოს“ ფურცლებზე არაერთი მოსაზრება და წინადადება გამოქვეყნდა. ავტორების მიმართ მადლობის მეტურა გვეუქმის. და მაინც, ყველაზე შორსმჭვრეტელი ნათლიები თვით დინამოელები გამოდგნენ. წინადადებების საბოლოო ანალიზმა ცხადყო, რომ უპირატესობა „იბერიას“ მიენიჭა.

გზა მშვიდობისა, „იბერია“!

ფეხბურთი — ჩვენი სიყვარული

ასრულდა ოცნება! ველირსეთ პირველ დამოუკიდებელ ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთში!

საქართველოში მცხოვრებ ორასი ათასამდე ინვალიდის „სახელით მიცვსალმებით ქართველ ფეხბურთელებს, ჩემპიონატის ორგანიზატორებს, პირადად ბატონ ნოდარ ახალკაცს და ვუსურვებთ დიდ წარმატებებს თავიანთ უაღრესად ეროვნულ და კეთილშობილურ საქმიანობაში!

მალე გვენახოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უფა-სა და ფიფა-ს წევრად!

ჩვენო საყვარელო ფეხბურთელებო!

გახსოვდეთ: ათასობით მარტოხელა და საწოლსმიჯავებული ინვალიდისთვის ფეხბურთი ის სანახაობაა, რომელიც ტელეეკრანის მეშვეობით უხარებს დაჩაგრულ გულს და უმსუბუქებს ტანჯულ სიცოცხლეს!

მაშ, ითამაშეთ ისე, როგორც ეკადრება ქართული ფეხბურთის დიდებულ ტრადიციებს და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მეტბრძოლ ჩვენს ერს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ზაზა სიხარულიძე,
ინვალიდთა ახოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული ფორუმის წევრი.

ბულ მწვრთნელს შოთა ახვლედიანს. ამ 77 წლის კაცს მართლაც უნიკალური მასალები აქვს საქართველოს სპორტსმენებზე სპორტის ყველა სახეობაში — ჩემპიონების, რეკორდსმენების, სპორტის ოსტატების სრული სიები, დაწყებული 1924 წლიდან.

მაშ ასე, საქართველოს პირველობები ფეხბურთში...

სულ 55 გათამაშება ჩატარდა.

პირველი პირველობა 1927 წელს

პროვინული ჩემპიონატი

ზაზაძე „ნატურისთვალმა“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისათვის დააწესა ყოველწლიური პრიზი.

სარედაქციო კოლეგიის სახელით — **პაპა ნაცვლიშვილი.**

ფეხბურთელს, რომელიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე შთამბეჭდავ გოლს გაიტანს თბილისში გამართულ მატჩებში, სეზონის დამთავრების შემდეგ საგანგებო პრიზით დააჯილდოვებს საქართველოს საკონცერტო გაერთიანება.

გაერთიანების სახელით **გორის თბილისი, ზახანაზო გოგოლაშვილი.**

თბილისის „იბერია“ მხარს უჭერს

„იბერიის“ კლუბის ხელმძღვანელებს და ფეხბურთელებს მხარს უჭერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბანცხადაბას იმის თაობაზე, რომ ჩვენი ეროვნული დროის ფარგლებში ითამაშოს მხოლოდ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაპირებმა ზუნდნა.

ასე იწყებოდა...

საპარტველოს პირველობები ფეხბურთში

ფეხბურთის საქართველოში მეოცე საუკუნის დამდეგიდან დაიწყო სათავე. ამაზე პირველი ბევრჯერ დაწერილა. ძველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ფეხბურთის გართობაზე ჩვენში პოპულარული გუნდები — „ტრიუმფი“, „შეგარდენი“, „უნიონი“ და სხვები. მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის საქართველოს პირველ გათამაშებებში მონაწილე გუნდების, ფეხბურთელების შესახებ.

მთავაზობით სტრუქტურებს სპორტის მასალიდან, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით „ლელოს“ ძველ მუგობარს, სპორტის ვეტერანს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, რესპუბლიკის დამსახურებულ

გამართა. მონაწილეობდა ოთხი გუნდი — თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის ნაკრებები. ბათუმელებმა სამივე მეტოქე დაამარცხეს: თბილისი — 2:1, ფოთი — 2:1, სოხუმი — 3:0 და ქულათა მაქსიმუმით (ბურთების სხვაობა 7—2) ჩემპიონობა მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი (სძლია ფოთს — 3:1 და სოხუმს — 3:0), მესამე — ფოთის ნაკრები, რომელმაც დიდი ანგარიშით 5:1 მოუგო სოხუმის გუნდს. რესპუბლიკის პირველ ჩემპიონთა შემადგენლობა (რამდენიმე ფეხბურთელის სახელი ვერ დავადგინეთ — ეგებ

„ლელოს“ მეთხველები დაგვეხმარონ ამაში): ლევან აბაშიძე, ალექსანდრ ანიკინი, ნიკოლოზ ანიკინი, ა. ბიბაიევი, ა. გასპაროვი, დარჩია, ანდრო იოაკიმიდი, ლაზარევი, ალიოშა პაპკოვი, რომა პოლოსოვი, კოჩი ფსაროსი, რეზო ფლაჯანდისვილი, გრიგოლ (ქიციკო) ფარულია, ანდრო ფოჩხუა, ქსენოფონტოვი (ჯორჯო), შოიშვილი (შოიგრაფი).

მეორე პირველობას (1928 წ.) გორის გუნდი დემეტა. თბილისე

...და ერთი „პერსონალიზმ“

საპარტიველოს 1989 წლის ფაქტობრივი, ქარგული მალხაზ ბერუაშვილი, როგორც ცნობილია, სამბოშიც წარმატებით ასპარეზობს და არაოღდ დღის წინ შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა მოსკოვში გამართულ ხარლამპიევის მემორიალზე. ცნობა ამ ასპარეზობის შესახებ უკვე მოაწოდეთ, ოღონდ — მოკლედ, ახლა კი უფრო დაწვრილებით ქართველ სამბისტთა გამოსვლაზე: წინასწარ ვიტყვი, რომ მემორიალში ჯილდო მოიპოვა აგრეთვე მცხეთელმა მოჭიდავემ მამუკა წინამძღვრიშვილმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა 90 კგ წონის კატეგორიაში.

ბერუაშვილის (მწვრთნელი — სპარტაკ ჯინორიძე) გამარჯვებათა ნუსხა ასეთია: მან ზედიზედ წმინდად დაიმარცხა სამი მეტოქე: ესპანელი ალენ ბრანსი, ფრანგი კრისტინ ბრიუსე, იტალიელი ემანუელ ლობესი და ქულებით სძლია მიხეილ ჯაფარიძეს, რომელიც უკრაინის გუნდის სახელით ასპარეზობდა.

ფინალში კი ასევე დამარცხდა (10:0) მოულოაბელი კავშირის ნაკრების წევრს მ. ვერგოვს. სხვათა შორის, მთელი ტურნირის მანძილზე მ. ბერუაშვილს („დინამო“) ქულაც არ დაუკარგავს.

მამუკა წინამძღვრიშვილმა (მწვრთნელი აბესლომ წიკლაური და ნუგზარ ხუციშვილი), წმინდად დაიმარცხა ესპანელი ხორხე ფუენტასი, ქულებით — მონტოლი ნინაჟე მინჩარგელი, ბულგარელი ცვეტომირ პეტროვი (10:0), ს. კავერინი (სსრკ) და ფინალში შეხვდა სერგეი ზლობინს. მსაჯებმა ზლობინს ერთი გაფრთხილება მისცეს, მამუკას — ორი და ამან გადაწყვიტა კიდევ გამარჯვებულის ბედი.

მემორიალში 14 ქვეყნის სამბისტები გამოდიოდნენ. საბჭოთა კავშირის გუნდის წევრები, მათ შორის საქართველოს მოჭიდავეები, პერსონალური წესით იყვნენ მიწვეულნი ტურნირზე.

სამხარე მხოლოდ 28 წელიწადი ჩაბნია

„ხან-რეგრე“ ავდიოდით. 6000 მეტრ სიმაღლეზე წამოსცდა — ნეტავ რას მოვდივართ, რას ვერჩით ამ სილამაზეს, ფეხს რატომ ვადგამთო.

ერთ-ერთმა პირველმა შედგა ფეხი გორბ მწვერვალზე — ქართველ კაცთაგან ერთ-ერთმა პირველმა.

„ჯიგიტის“ ძირში მთას აღარ გაეკარა — მეყოფა, მიწყენა მეტი-სმეტ სითამამესო.

ერთხელ საუბარში თქვა: წამოსვლამდე ქალმა მითხრა, წელს ვეღარ გაატან, მთაში დაიღუპებიო.

საოცრად ფრთხილობდა — გაურბოდა სიკვდილს... ნათქვამ წელს გადაურჩა.

მთელი ცხოვრება მყინვარს შეჰყურებდა — ამაყ „ხევის პატარა-ძალს“. მისი მწვერვალიდანაც ბევრჯერ გადმოხედა მშობლიურ ხეებს... თან სულ ყაზბეგზე უჩერდებოდა მხერა. თვალი მშობლიურ სახლს ეძებდა სოფელში — საკუთარ სახლს. იქ ღელა ეგულებოდა და ძმა.

სოფლის სსსფსო-ს თვალს არიდებდა — მამამისი იწვა იქ და შეიძლება იმიტომ.

— მამის სულს გეფიცებო, იტყობა ხშირად.

— შეილო, რა დაგიკარგავს იმ თოვლში. ეტყობა ალბათ დედამისი... ამას მოგონილს ვამბობ, რადგან ყველას ასე გვეუბნებიან.

არაფერს ეტყობა, ერთს ჯიუტად გაიწვევდა თავს და... ოცნებობდა.

მთამსვლელის ოცნება მუდამ დიდ რისკთანაა დაკავშირებული... ის კი მაინც ოცნებობს...

მის ოცნებას მთა ერქვა, დიდი, ლამაზი მთა: შესაძლოა უშუა, ან შხარა. გამარჯვება, იქნებ ვეგრესტი...



ხანიდან, რომ ჩამოდიოდა, სამიწელი ამინდი იდგა. — თუ ყოჩაღდ ივლით, მოაწრებთო, დაგვიმედა. — მწვერვალზე სიურპრიზი გელითო, დიმილთ გვითხრა.

„ხან-თენგრიზე“ ქართული დროშა დაგვხვდა აფრიალებული.

თოვლზე დახვდა ქალის ნათქვამი, შესაძლოა ხუმრობით, მაგრამ ნათქვამი.

იარა, იარა და აღრე გაზაფხულის იმ დღეს სიტყვამ მოწყვიტა ზეგავი.

იგი ჩვეულ სამუშაოს ასრულებდა — გამყოფი იყო ჭაფუცის და პირველი მთარღვევდა თოვლს. ენლო მშობელ მთას...

ცხოვრება ხანმოკლეა. მისი სამხეო 28 წელწადში ჩატია ღმერთმა. მშობლიურმა მთამ შეიწირა მისი სიცოცხლე. ღმერთმა ქნას, მის ქმას მოემატოს მისი გასაველი ტკბილ-მწერე წლები.

მყინვარი კი დგას პირქუში და უკარება.

ყოველ ასვლაზე რომელიმე ჩვენგანი უთუოდ თამაზის თვალთ გადაზინდევს ყაზბეგს და მშობლიურ სახლს დაუწყებს ძებნას. ზოგიერთსაც მხერა სოფლის სასაფლაოსკენ გაქცევა...

საპარტიველოს მთამსვლელთა ნაკრები გუნდი.

კალეიდოსკოპი

რეპრეზენტაციის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად არჩეულია 1968 წლის მესიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ლია მანოლიუ. ამ დღეებში დამტკიცდა ვიცე-პრეზიდენტთა კანდიდატურებიც. ესენი არიან: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ალექსანდრე შობერკო, ოთხჯგის ოლიმპიური ჩემპიონი ნიჩბოსნობაში ივან პაცაიკინი და იან ზაულოკა.

ცნობილ დასავლეთგერმანელ მოციგურავეს, სპრინტერულ მრავალკიდეში ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს ექსჩემპიონს მონიკა ჰოლენერ-გევეუსს მესამე შვილი შეეძინა.

შაბრიდის ცნობილი სტადიონი „ბერნაბეუ“ სულ მალე სარესტავრაციოდ დაიხუტება. მომავალში მისი ტრიბუნები 110 ათას მაყურებელს დაიტევს. (აქამდე იგი 94 ათას კაცზე იყო გათვალისწინებული). „ბერნაბეუს“ სტადიონზე თამაშებს ატარებს მადრიდის გუნდი — „რეალი“.

ირანში ცხრა წლის განმავლობაში კრივი აკრძალული იყო. ამას წინათ კი თერანში დიდი საერთაშორისო ტურნირი მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 23 ქვეყნის 200-ზე მეტმა მოკრივემ. კრივის დღეა ამ ქვეყანაში შეწყდა ირანის პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებით.

დასავლეთ ბერლინში სკანდალური სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. საბრალდებლო სკამზე ზის მსოფლიოს ექსჩემპიონი კრივიში პროფესიონალითა შორის გრაციანო როკიჯანი, რომელსაც ბრალად ედება ადამიანებით ვაჭრობა, სუტენიობა და შანტაჟი. პროცესის

დროს გამოძღვანდა ერთი ასეთი ფაქტი: 1989 წლის ივნისში მოკრივემ და მისმა დამქაშებმა იტალიაში 20 ათას მარკად გაყიდეს 20 წლის გოგონა...

ანდჰის მთიანეთში, ბუნოს-აირესიდან 1000 კილომეტრის დაშორებით დაიდუბა ცნობილი იაპონელი მთამსვლელი აიკიო იოკავა. იგი ნახეს სასიკვდილოდ გაყინული. იოკავა მესამე უცხოელი ალბინსტია, რომელიც დაიღუპა აკონკაგუას მწვერვალის (7000 მ.) დაპყრობისას.

„ბურ და ფრანსის“ ორჯგის ჩემპიონი ფრანგი ველოსიპედისტი ლორან ფონიონი სასამართლოშია დაბარებული. მას ბრალად ედება კონტრაბანდის გალახვა.

1990 წლიდან ავსტრიის ეროვნული სპორტული ასოციაცია ინტენსიურად იყენებს დოპინგის აღმოჩენს სპეციალურ ტესტებს. ამ მიზნით ასოციაციას 20 პროცენტით გაუზარდეს ბიუჯეტი.

ამხანაგური მატჩები

სსრ კავშირი — კოლანდია

გაუზიფ კიევიში გაიმართა სსრ კავშირისა და კოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა.

თამაში დამთავრდა საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით 2:1.

წინა დღით აქ ერთმანეთს შეხვედნენ ამავე ქვეყნების ოლიმპიური ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს საბჭოთა ოლიმპიელებმა ანგარიშით — 2:0.

ფიფა მოუწოდებს

ფეხბურთის (საერთაშორისო) ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილე თექვსმეტივე გუნდის მწვრთნელებს მოუწოდა შეუერთდნენ ფიფას თათსონობით წამოწყებულ ბრძოლას უნეში თამაშის წინააღმდეგ. იმ ბლატერმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მინორზე ფეხბურთელთა ხულიგნური საქციელს შეუძლია მძლავრი რეაქცია გამოიწვიოს ტრიბუნებზე. გარდა ამისა, ფიფა-მ თხოვნი მიმართა ფეხბურთელებს თავი შეეკავონ ემოციების აქტიური გამოვლენისაგან, იმ მოთამაშეებს კი, რომლებიც „მოდის“ უკანასკნელი სიტყვის თანახმად გონლის გატანის შემდეგ სათამაშო მიწის დროსა და ტრიბუნების გამყოფ მესერზე ჩამოეციდებიან, დისციპლინარული კომისია სპეციალურ სასჯელს გამოუტანს.

წესრიგის განსამტკიცებელი სანქციების თაობაზე ახალი მითითებები მიიღეს არბიტრებმაც. მაგალითად, წითელ ბარათს უჩვენებენ იმ ფეხბურთელს, რომლის საქციელსაც მსაჯი განსაზღვრავს, როგორც „სხვა ფეხბურთელისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას“.

„სპორტპროგნოზი“, 29-14 ტირაჟის პროგრამა (7-8 აპრილი)
გადასახველელი ბურნირი შიპიან კოპიში (პირველი თამაშები)

	პროგნოზი			
1. ასკ (ლენინგრადი) — „ხალაჯთ იულაევი“ (უფა)	7.IV	60	30	10
2. ურიციის ხახ. სკ (ყაზანი) — „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი)	7.IV	30	30	40
3. „ავტომობილისტი“ (სვერდლოვსკი) — „კრისტალი“ (სარატოვი)	7.IV	50	40	10
სსრ კავშირის ჩამოიონატი ფეხბურთის (პირველი ლიბა)				
4. „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „შინკი“ (იაროსლავლი)	7.IV	50	40	10
5. „უუბანი“ (კრასნოდარი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	7.IV	10	70	20
6. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	7.IV	30	60	10
7. „მეტალისტი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (სტავროპოლი)	7.IV	30	60	10
იტალიის ჩამოიონატი ფეხბურთის				
8. „ვერონა“ (ვერონა) — „ვენუა“ (გენუა)	8.IV	30	60	10
9. „ბოლონია“ (ბოლონია) — „მილანი“ (მილანი)	8.IV	10	50	40
10. „ატალანტა“ (ბერგამო) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	8.IV	30	50	20
11. „ასკოლი“ (ასკოლი) — „უდინეზე“ (უდინე)	8.IV	30	60	10
ესპანეთის ჩამოიონატი ფეხბურთის				
12. „ბარსელონა“ (ბარსელონა) — „ვალენსია“ (ვალენსია)	8.IV	50	40	10
13. „ოვიედო“ (ოვიედო) — „ხევილია“ (ხევილია)	8.IV	10	70	20

საფეხბურთო იუზორი

— როდის დაიწყო?
— სამოცდახუთი წლის წინ!

არის, ახრულდა ოცნება!..

ვახტანგ კუციას ნახატი.

რედაქტორი
თ. ბაჩიკილაძე.

წიგნების მისაღებად:
 წერილებსთვის — 330000,
 თბილისი, ლენინის ქ. 14,
 დეპარტამენტისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩადავების ტელეფონები:
 წერილებს განყოფილება — 98-97-55,
 სამაგნიტო — 98-97-59,
 ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58,
 „მერანი“ — 98-97-98, „მარტვი“ — 98-97-27.

საქმიანობის
 66435

საქმიანობის კმ ცკ-ის განყოფილების მთავარ წიგნის ორდენის სტამბა. 330000, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდება ოცხეტიური წიგნის საგაზეო კარპუსი: მომარაგება, 20.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უფ 08 779